

წარმოგიდგენთ შპს “ ბაინარი სტუდიო “-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 404532528) 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

დირექტორი:

A handwritten signature in blue ink, appearing to read "მ. ჯ. აბულაძე", enclosed within a simple blue oval border.

ლევან ჯვარშიშვილი

შპს „ბაინარი სტუდიო“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

შინაარსი

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „ბაინარი სტუდიო“-ის 2021 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	31 დეკემბერი 2021	01 იანვარი 2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		
არამატერიალური აქტივები	-	-
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	89,573	1,064,543
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისღები შემოსავალი	3,002	1,997
სულ მოკლევადიანი აქტივები	92,575	1,066,540
სულ აქტივები		
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	87,325	1,061.290
	87,325	1,061.290
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	5,250	5,250
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს წინაშე		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,250	5,250
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	92,575	1,066,540

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2021 წლის 28 ივლისი:

შპს „ბაინარი სტუდიო“-ს

დირექტორი:

ლევან ჯვარშიშვილი ,
/_____/

შპს „ბაინარი სტუდიო“-ის 2021 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	2021	2020
შემოსავალი	1,731,640	5,537,339
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	0	0
საერთო მოგება	1,731,640	5,537,339
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	-	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(74,831)	(583,696)
საოპერაციო მოგება	1,656,809	4,953,643
ფინანსური ხარჯი, ნეტო		
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		
სხვა შემოსავალი (ხარჯები), ნეტო	2,052	209,785
მოგება დაბეგვრამდე	1,658,861	5,163,428
მოგების გადასახადის ხარჯი	-	
წმინდა მოგება	1,658,861	5,163,428
სხვა სრული შემოსავალი	-	
მთლიანი სრული შემოსავალი	1,658,861	5,163,428

წ

დირექტორი:



ლევან ჯვარშიშვილი , 01008011508

შპს „ბაინარი სტუდიო“-ის 2021 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი):

	2021	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მთლიანი სრული შემოსავალი	1,658,861	5,537,339
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	0	
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	0	
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	0	
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	1,658,861	5,537,339
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მარაგები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-1,005	-368,099
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	-1,005	-368,099
გადახდილი მოგების გადასახადი	-	
	-	
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	-	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებები	-	
არამატერიალური აქტივები	-	
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	-	
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
სესხების გადახდა	-	
გაცემული დივიდენდი	(2,632,826)	(5,562,492)
	-	
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან	(2,632,826)	(5,562,492)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(974,970)	(393,252)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,064,543	1,457,795
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	89,573	1,064,543

დირექტორი:

ლევან ჯვარშიეშვილი , 01008011508

შპს „ბაინარი სტუდიო“-ის 2021 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 31 ჩათვლით პერიოდის მდგომარეობით კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი):

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2021	-	1,061,290	-	1,061,290
მიღებული მოგება		1,658,861		1,658,861
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(2,632,826)	-	(2,632,826)
31 დეკემბერი 2021	-	87,325	-	87,325

დირექტორი:



ლევან ჯვარშიშვილი , 01008011508

/ _____ /

შპს „ ბაინარი სტუდიო“-ის

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. „ ბაინარი სტუდიო“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2017 წლის 01 მარტი, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 404532528;

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1Encouli Software Limited, HE400111 /Cyprus/ 100%

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი გიორგი ლეონიძეს ქუჩა N8 სართული 3

ორგანიზაციის დირექტორია: ლევან ჯვარშიშვილი პირადი ნომერი 01008011508.

ორგანიზაციის საქმიანობის სახე: ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნა და განვითარება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძვლები

შ.პ.ს. „ბაინარი სტუდიო“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის; კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს გადაწყვეტილი აქვთ შეაჩერონ საქმიანობა 2022 წლიდან.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავალის მუხლში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 2 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა-ნა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გა-დაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალ-დებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთისმიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება 'პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში' ('ფიფო') მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას;

შემოსავალი

2021 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021
შემოსავალი მზა პროდუქციიდან	
შემოსავალი	1,731,640
საპროცენტო შემოსავალი	
სხვა არასასაქონლო შემოსავალი	-
სულ შემოსავალი	1,731,640

თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება 2021 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მზა პროდუქციის თვითღირებულება	2021
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	
პირდაპირი ხელფასი	
სულ თვითღირებულება	

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021
იჯარის ხარჯები	
ცვეთა და ამორტიზაცია	2943
საპროცენტო ხარჯი	
არასაოპერაციო ხარჯი	
მივლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	
საკომისიო ხარჯი	
შეკეთების ხარჯები	
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	71888
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	
	74831

საწარმოო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.დეკ 2021	1-ლი იანვარი 2021
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები		
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	3002	1997
ჯამი	3002	1997

საწარმოო და ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.დეკ 2021	1-ლი იანვარი 2021
ფინანსური ვალდებულებები:		
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხი	5250	5250
არაფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები		
ჯამი	5250	5250

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.დეკ.2021	1-ლი იანვარი 2021
ფული სალაროში		
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში		
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	89,573	1,064,543

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ფინანსური იჯარის ვალდებულება.

პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

3. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 10 ივნისს ;

დირექტორი:



ლევან ჯვარშიშვილი , 01008011508